

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997 წელი - №47-48) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქმეებს თანამდებობის პირის, რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით.“

2. მე-7 კარის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კარი მეშვიდე

საოჯახო, ადმინისტრაციული, სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი და თანამდებობის პირის, რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებანი“

3. XLIV¹ თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“თავი XLIV¹

წარმოება თანამდებობის პირის, რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით.“

4. 356¹ მუხლის „დ“- „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ოჯახის წევრი – თანამდებობის პირის, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე რეკეტირთან, ქურდული სამყაროს წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირთან მუდმივად მცხოვრები პირი;

ე) ახლო ნათესავი - თანამდებობის პირის, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერები, მეუღლის და, ძმა და მშობელი;

ვ) თანამდებობის პირთან, რეკეტირთან, ქურდული სამყაროს წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირი - პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მიღებულია რეკეტის შედეგად ან სხვა არაკანონიერი გზით და ამ ქონებით სარგებლობს, განკარგავს (ან განკარგა) თანამდებობის პირი, რეკეტირი, ქურდული სამყაროს წევრი, ადამიანით მოვაჭრე ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირი;".

5. 356¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის "კ" და "ლ" ქვეპუნქტები:

"კ) უკანონო ქონება - ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით;

ლ) დაუსაბუთებელი ქონება - ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნიათ ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით;".

6. 356² მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 356². სარჩელის აღძვრა თანამდებობის პირის, რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე“

ბ) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. თანამდებობის პირის, რეკეტული, ქურდული სამყაროს, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს თანამდებობის პირის, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში."

7. 356² მუხლს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი:

"1¹. თანამდებობის პირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ სარჩელი შესაძლებელია აღიძრას თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის მიმართ;".

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

“5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღიძრას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის მიმართ.”.

8. 356³-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 356³. ქონების რეკეტულად ცნობა, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა”.

9. 356³-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 – მე-10 ნაწილები:

“7. მოსამართლე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის ქონებას ცნობს უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, თუ არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის ქონების მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება.

8. მოპასუხე ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.

9. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის ქონებას მოსამართლე ცნობს უკანონოდ, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სასამართლომ გამოარკვია, რომ ქონება ან ამ ქონების შექენისთვის საჭირო საშუალებები მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევის შესაბამისად. მოსარჩელე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობისა და დაუსაბუთებლობის თაობაზე. თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონებას მოსამართლე მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ცნობს დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შექენისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

10. მოპასუხე ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.”

10. 356⁴ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 356⁴ ქონებაზე ყადაღის დადება

თუ არსებობს მონაცემები, რომ თანამდებობის პირის, რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან, რეკეტირთან, ქურდული სამყაროს წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ”

ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებულ ქონებას გადაამალავენ ან დახარჯავენ ანდა სხვაგვარად გაასხვისებენ, პროკურორი ვალდებულია, განცხადებით მიმართოს სასამართლოს ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე, ყადაღის დადების თაობაზე.”.

11. 356⁵ მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ სასამართლომ ამ კოდექსის 356³ მუხლის შესაბამისად თანამდებობის პირის, რეკრუტი დაჯგუფების, რეკრუტის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან, რეკრუტთან, ქურდული სამყაროს წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის ქონება რეკრუტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნო, ასეთი ქონება მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.”.

12. 356⁶ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თანამდებობის პირის, რეკრუტი, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევის თაობაზე წარმოებული საქმეების განხილვისას, როდესაც გამოცხადდა თანამდებობის პირის, რეკრუტის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის, ან თანამდებობის პირთან, რეკრუტთან, ქურდული სამყაროს წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირთან, დაკავშირებული პირის ძებნა, არ გამოიყენება ამ კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.“

2. მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოში, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში. მხარეს უფლება აქვს, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში. სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე მხარის ხელმოწერა დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიულურად ან საკონსულო წესით.”.

13. დაემატოს შემდეგი შინაარსის 356⁷ მუხლი:

“მუხლი 356⁷. სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შედეგები

თუ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა, იმავე ქონებასთან დაკავშირებით განმეორებითი სარჩელის წარდგენა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოვლინდა ახლადმოჩენილი გარემოებები.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი